

1957

ОБЯЗАТЕЛЬНЫЙ ЭКСПОНАТ

ქართული
ბიბლიოთეკა



1936 წლის
საქართველოს

253
22/XII 57

ა. ჯანაშია

ნ ი ა ნ ბ ი

ინგლისი ეკვიპაჟები

ცული ამინდია ეგვიპტეში, ჯონ-ბული
წონახწორობას ველარ იცავს...



მკითხველთა საყურადღებოდ ვაცხადებთ, რომ ქვემოთ მოთხრობილ ამბავში სასაცილო არაფერია.

პლენხანოვის პროსპექტზე კინოსტუდიის პირდაპირ მდებარე ეზოში არის შენობა, რომელშიც მოთავსებულია გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი“, იქვეა სტამბა და ამ ათორღე წლის წინათ იქვე იყო საწყობი, სადაც ინახებოდა საბჭოთა ქალაქი.

შეიძლება ითქვას საწყობი ვერ იყო ხეირიანი, შიგ ბნელოდა და საზიზღარი სუნი იდგა. ერთი სიტყვით, ადრე აქ შეიძლება იყო თავლა ან რაიმე ნაყარ-ნუყარი ნივთების საკუჭნაო.

ასეა თუ ისე, აღნიშნულმა გამომცემლობამ ეს საკუჭნაო გამოიყენა ქალაქის საწყობად.

მოგეხსენებათ ქალაქი ქალაქია და მას არა აქვს იმდენი კულტურული მოთხოვნილება, როგორც, მაგალითად, რომელიმე რაიონული საბჭოს ან თბილისის გარეუბნის სახალხო სასამართლოების მუშაკებს. მას (ქალაქს) ადვილად შეუძლია აიტანოს სიბნელე და მყრალი სუნი. არც დიდი თავმოყვარეობა აქვს, მას შეუძლია უდარდელად ელაგოს თავლაშიც და ნაყარ-ნუყარის საკუჭნაოშიც.

ბევრი რომ არ ვილაპარაკოთ, ერთ დღეს, (ეს იყო ამ ათი წლის წინათ), გამომცემლობაში გამოცხადდნენ სტალინის სახელობის რაისაბჭოს მუშაკები.

— რა მდგომარეობაშია თქვენი საწყობი? — იკითხეს მათ.

— ვერ არის კარგ მდგომარეობაში, მაგრამ რას იზამთ, უკეთესი არ გვაქვს. — იყო პასუხი.

— თუ შეიძლება დავათვალიეროთ?

— მობრძანდით.

რამდენიმე წუთის შემდეგ ზემოაღნიშნული მუშაკები ცხვირზე ხელმოკერილი გამოვრბოდნენ საწყობიდან.

— თფუი, რა საზიზღარი სუნი ტრიალებს თქვენს საწყობში, სანაგვე ყუთს ჰგავს. აქ, ალბათ, არა მარტო რიგითი თაგვები, ვირთაგვებიც ბლომად იქნებიან.

— არიან, როგორ არა, მაგრამ რას იზამ, უკეთესი არა გვაქვს.

— არ გრცხვენიათ, რომ ქალაქს ასეთ ცუდ საწყობში ინახავთ? — თქვა ერთ-ერთმა წარმომადგენელმა. — აქ კარგი იქნებოდა ჩავგესახლებინა გარეუბნის სახალხო სასამართლო.

— რას ბრძანებთ, ხომ დაიხრჩობა ამ საკუჭნაოში ამხანაგი მოსამართლე!

— რა დაახრჩობს, განა სულ აქ დავტოვებთ!

— კი მაგრამ ქალაქი სად წავიღოთ!

— დროებით სადმე დააწყეთ, რა საჭიროა აქ ბევრი კამათი. — თქვეს წარმომადგენლებმა და წავიდნენ.

მეორე თუ მესამე დღეს ყოფილ საწყობში მოთავსდა გარეუბნის სახალხო სასამართლო, რომელმაც იმავე დღეს გაარჩია პირველი საქმე და გამოიტანა განაჩენი.

გავიდა ათი წელი. საწყობიდან გამოყრდილი ქალაქის რულონები ეზოში ჰყრია, ხოლო საწყობში სასამართლო განაგრობს გადაწყვეტილებათა გამოტანას.

ამას წინათ შევიხედეთ ამ სასამართლოში.

ღირსია მხატვრული აღწერისა სურათი, რაც თვალწინ წარმოგვიდგა:

ირჩევ. საქმე ქურდობის შესახებ.

საწყობში (ესე იგი სასამართლოს დარბაზში) ფანჯრის მიწები ჩამტვრეულია, აქა-იქ ნაგავი ჰყრია.

პროკურორს, ვეჟილს და თვით ბრალდებულსაც კი ცხვირზე აფარებული აქვთ ცხვირსახოცები.

— ჩქარა გამოტყდი, სული დაგვეხუთა! — ურჩევს პროკურორი ბრალდებულს, — მოიძარე თუ არა შენ ორასი მანეთი ესტატე ტუკვადის ბინიდან...

— არ მომიპარავს, პროკურორჯან!

— მე პროტესტს ვაცხადებ, — ამბობს ვეჟილი, — უდანაშაულო კაცს აიძულებთ მთელი საათის განმავლობაში ისუნთქოს ამ ყოფილი საწყობის ჰაერით... შეიტანეთ ოქმში.

— მაშ ახლა შევუდგეთ მოწმეების დაკითხვას, — ამბობს მოსამართლე, — დასაკითხია 8 მოწმე.

— როგორ! — აღშფოთდა ბრალდებული, — რვა მოწმის დაკითხვას ხომ მთელი საათი მოუნდება?.. — გამოდის, რომ მე პატიოსანი ქურდი, რალაც ორასი მანეთის მოპარვისათვის უნდა დამახრჩოთ ამ საწყობში...

— გამოდის, რომ მოგიპარავს. — თქვა მოსამართლემ. — შეიტანეთ ოქმში... სასამართლო გადის განაჩენის გამოსატანად.

და ასე გრძელდება უკვე ათი წელია.

გამომცემლობის ხელმძღვანელობა სისტემატურად აკითხავს ხან სტალინის სახელობის რაისაბჭოს, ხან გარეუბნის რაისაბჭოს, ხან სხვა ორგანოებს, ევედრება მათ ბოლოს და ბოლოს დაუცალონ საწყობი, მაგრამ მდგომარეობა უცვლელი რჩება.

— სასამართლო გარეუბნისაა, დე, გარეუბნის მუშაკებმა იზრუნონ თავიანთი სასამართლოსათვის. — უპასუხებენ გამომცემლობას სტალინის სახელობის რაისაბჭოს მუშაკები.

— სასამართლო თქვენს საწყობში ჩაასახლა სტალინის სახელობის რაისაბჭომ. დე, მანვე მონახოს სხვა ადგილი. — ამბობენ გარეუბნის რაისაბჭოს მუშაკები.

ასე ერთმანეთის ჯიბრზე ქალაქი ეზოში რჩება, ხოლო სახალხო სასამართლო — საკუჭნაოში.

მართლაც სასაცილო არაფერია ამ ამბავში. მით უმეტეს სიცილის გუნებაზე ვერ დარჩებიან სტალინის რაიონის და გარეუბნის რაისაბჭოს მუშაკები, როცა ამ საქმეში ჩაერევა სხვა უფრო მაღლამდგომი ორგანო.





კლუბი და ელპარაკე იყალთოელებს

გაგიგონიათ იყალთო? გინახავთ იყალთო?

ეს ძველისძველი სოფელია, დიდი კულტურული წარსულის მქონე. ხალხის გადმოცემით, თურმე იყალთოს აკადემიაში სწავლობდა რუსთაველი, სადაც ლექციებს კითხულობდა ფილოსოფოსი და რიტორი არსენ იყალთოელი. ახლაც არის იმ აკადემიის ნანგრევები.

თუმცა სხვა ნანგრევებიც საკმაოდ აქვთ იყალთოელებს.

აიღეთ, მაგალითად, კლუბის ნანგრევები. იგი საუცხოოა, ქვიშითა და ღორღით სავსე ეზოთი, თითო საექვსე კოხტად აწვდილ ქარ-წვიმისაგან ალანძულ-ჩაქანგული კედლებით.

იგი ისეთი მრავალმეტყველი და მიმზიდველია, რომ ერთხელ თბილისიდან ჩასული ექსკურსანტები მის ეზოში ჩამოხტნენ და ახლომახლო მცხოვრებლებმა ძლივს დაარწმუნეს, რომ ეს აკადემიის კი არა, კლუბის ნანგრევებიაო.

ვინ დაუჯერებდა იყალთოელებს?

აბა თუ ერთი ფიცარი მაინც მიაკრეს წარწერით: „იყალთოს კლუბის ნანგრევები დაცულია კანონით. დამზიანებლები მიეცემიან პასუხისგებაში“.

იქნებ იმაშიც შეედავოს ვინმე რატომ ახალი კლუბი არ ააშენეთო?

მაგრამ ეს ხომ აუცილებელი არ იყო იყალთოელებისათვის? მათ პირობა ხომ დადეს საკოლმეურნეო კლუბის მშენებლობას 1951 წლ. 1 ივლისამდე დაეამთავრებოთ. ესეც ხომ რამედ ღირს? სხვა ამასაც ვერ მოახერხებდა.

შეიძლება გამოვიდეს ზოგიერთი გაუგებელი და თქვას: ნეტა რა ეშველებოდათ იყალთოელებს მემკვიდრეობით რომ არ დარჩენოდათ ძველი შენობები: სკოლაა—ძველ სახლშია, საბჭოა—ძველია, საავადმყოფო, საექიმო პუნქტი და აფთიაქი—ძველია, სამტრესტის შენობაა—ძველია, საბავშვო ბაღი ჰქონდათ—ისიც ძველი შენობა იყო. იმას კი აღარ დაინახავენ, რომ ახალი კანტორა და სამკედლო კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ააშენა.

მართალია, მან კლუბის ასაშენებლად მასწავლებლების მიერ გაცხადებული ქვიშა წაიღო, მაგრამ აქ რა არის დასაძრახი? მას თავმჯდომარე ხომ არ იზრუნებდა მასალების მომზადებაზე?

ახლა იმაზედაც კი დაუწყეს დავა, რომ შენს ნათესავენს ყველას ელექტროსინათლე მიეცი და ბევრ მუყაით მუშავს უნათობის გამო, ბუხარი, ან ღუმელი უნთიო. ერთი უყურეთ იმათა! მას თავმჯდომარემ ნათესავენს არ უნდა მოიმადლიეროს?

იქნებ ასიცა თქვას ზოგიერთმა:—ამხელა სოფელს ერთი რიგიანი წყარო არა აქვსო! როგორ? განა შარაგზის პირას, ზედ საბჭოს წინ წყარო არ არის? აი, ის წყარო, ზაფხულობით თითქმის მუდამ დაშშრალი რომაა? მაგრამ წყალდიდობისას ხომ მოვარდება ხოლმე? თუმცა ის ცოტა მღვრიეა, მაგრამ რა უშავს? ზედგამოჭრილი მაჭრისფერია. იმასაც ამბობენ თურმე: ამ წყალს ჭიები გამოსდევს და ნუთუ ექიმი არა ჰყავთ, რომ შეამოწმოს და აკრძალოს მისი დაღევაო?

ჰმ, ექიმი! როგორ არა ჰყავთ იყალთოელებს ექიმი, მაგრამ განა აფასებენ?

აჰა მაგალითიც: ამას წინათ ოსია მრელაშვილმა თავის ეზოზე არ გაატარა სახლში მოკლე გზით მიმავალი ექიმი. შენაო,—უთხრა,—ბავშვი რომ ავად მყავდა და თვალცრემლიანი გეხვეწებოდი, მაშინ სანახავად არ შემოდგი აქ ფეხი და ახლა რად გაგატარებო? ცოტა რამე კი არ არიან ეს მრელაანები!

სხვა ვინ მოუვათ ისეთი გულმომწყალე და შემბრალებელი ექიმი, როგორიც ის არის? განა არ ახსოვთ, კოლმეურნე სანდრო ლაჩაშვილს გოგონა რომ გაუზნა ცუდად? ექიმი ხომ მისი ცოდვით კინალამ დაიწვა.

—ამ ბავშვს ნაწლაგების გადახლართვა აქვსო.—უთხრა,—რაიონში წაიყვანეთ, რაც შეიძლება ჩქარა, თორემ გზაში მოგიკვდებათო!

—მერე რა ვუყოთ, თუ ბავშვს უბრალოდ მუცელი ასტიოდა და ექიმს მისი გამოცნობა არ შეეძლო? „მომაკვდავი“ ბავშვი რომ შეებრაღა განა ეს არაფერია?

იმასაც ამბობენ თურმე: ზოგიერთ ავადმყოფისთვის ნემსის გაკეთება ეზარება, ზოგიერთებს კი—სწყალობსო (აი, გულუბრყვილოები! არც კი იციან, რისთვის სწყალობს).


ამას წინათ ექიმმა წერილი მიიღო რაიონის ცენტრიდან, რომელშიც მეგობარი ატყობინებდა: შენ რომ პირველი თოვლივით სუფთა და უმწიკვლო ხარ, ეგ შენი ექთანები ცილს გწამებენ და ჰკორებს გიგონებენო. მან ეს წერილი ექთანებს აჩვენა და შემდეგ იატაკის საწმენდი ჯაგრისის ტარით დასდევდა „ცილისმწამებლებს“. ვინ იცის რითი დამთავრდებოდა ეს ამბავი, თუ საავადმყოფოში გამავალ კარიდან საცვლებიანი ავადმყოფი არ გამოსულიყო და არ ეთხოვნა, ცოტა ხმადაბლა ლანძღეო.

ბოლოს ისეთი ხმა გამოვიდა, თითქოს ის წერილი ექიმს საკუთარი ხელით დაეწეროს და რაიონის ცენტრში თვითონვე ჩაეგდოს იმ ექთანებისათვის შარის მოდების მიზნითო.

ეჰ, მოდი და ელპარაკე იყალთოელებს! ლადო მკალაშვილი



ნახ. ი. ქოქიაშვილისა





—კარგ გუნებაზეა დღეს ჩვენი დირექტორი! რევიზორიც კმაყოფილი დარჩა თურმე... —უთუოდ დეფტარ დანაკლისი ჩვენმა დირექტორმა. —არა, დანაკლისი რევიზორმა დაფარა.



—ტელეფონი რეკავს, ბატონო, მაგრამ თქვენ ნუ შეწუხდებით, მე აქ არა ვარ... მე მოგარომეც უყრამოს. —რაიო, ძუტუ ვარო! (მღივნელზე) ვინაა, ბიჭო, ძუტუ? რა საქმე აქვს ჩვენს ტრესტთან? —ჩემი ცოლისმა ვახლავთ, ბატონო, თბ. ამას წინათ ახი ათახი რომ შეთვხარბა... და თქვენ უბატონო... —ბოი!

განაწილა, რომელი ბორცვდაც ცხენია გამობმულია

ცხენის ქურდი სასაბრუნოებდნენ. ბრალდება რომ წუკოთხეს, დანაშაუდზე დიდდ იწყინა და თავისი სიმართლის მტკიცება დაიწყო:

— როგორ გვადარებთა ცილისწამება? მინდორში ერთი პატარა ბაწარი ვიპოვე და შინ წამოვიღე, ვანა ეს ქურდობაა? რა ვიცი, თუ იმ ბაწარს ბოლოზე ცხენი იყო გამობმული?

ეს ანეგდოტი იმდენადვე ძველია, რამდენადაც სასაცილო, მაგრამ მას ბოლო არა აქვს და ჩვენ არ ვიცით, თუ რა სასჯელი მიიღო იმ ბაწარის მამოყენელმა.

მაგრამ რაჟი სიტყვამ მოიტანა, ერთი ცხენის ამბავი გვინდა მოვიხიროთ:

ეს ის იაბო ცხენი ვახლავთ, სოფელ ზედსამონეთის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეს შალვა ზარნაძეს რომ დაავლევდა. ესე იგი ზარნაძის საკუთრება იყო, მისი ცოცხალი ტრანსპორტი და თავმოყონების საგანი.

ერთ დღეს შალვა ზარნაძემ ცხენი დაკარგა. დაკარგა დღისით, მშისით, კარმადამის ფარგლებში. აწრიალდა მთელი სიმონეთი, თურქოების მილიცა, მაგრამ ცხენი ვეპარ ჩანეს, ცამ ჩაყალბა თუ მიწამ—ვერავინ გაიგო. რაც დღო გადიოდა, მით უფრო შუწავე იყო ზარნაძის განცდები.

—ფხუსუ, ქურანა!— ამოიხრება ხოლმე ის დღეში ათჯერ მინც.

—ფხუსუ, იაბო!—კვირს დაუტარებდა რომელიმე მეგობელი, ან საბჭოს წევრი, ან კოლმურენ და ჩამოსთვლდნენ ცხენის ღირსებას, ფერს, წყევანების, ხასიათსა და უნარს. სწორედ ამ ხანებში ქუთაისის რაიონის სოფ. ნახშირელის მიქოიანის სახელობის კოლმურენობამ აბესალომ

ტყაბლაძისაგან შეისყიდა ცხენი, რომელიც გამყიდველს ქებით «ცაში აქავდა», როგორც საკუთარი ხელით გაზრდილი. —ტყუილს ხომ არ გაკადრებთ, ბატონო? კვიცა მავიფივით გამიზრდიდა, შვილი წელი ეწელი და ივეფერები, მიჭირს თორემ, ოთხათას მინედიდ როგორ მოვკეციდით?— ეფუნებოდა ის კოლმურენობის თავმჯდომარეს. კოლმურენობა ისე მოიხბოდა, რომ უსასპორტოდ შეიძინა ცხენი, რომელიც ყველა ნიშნებით ზარნაძის მიერ დაკარგულ ქურანსა ვაგდა.

რადგან ცხენებს სერთოდ არ ჩვევით ლაპარაკი, არც ამ ქურანმა გაუხილა კოლმურენობის თავმჯდომარეს, რომ ტყაბლაძე ტყუილია, რომ მას არც «ბავიფივით გაზრდილი» ის და არც კვიცივით მოფერებია, რომ ტყაბლაძემ, უკეთეს შემთხვევაში, მხოლოდ «ბაწარი» ნახა მინდორში, რომლის ბოლოზედც ის ქურანი იყო გამობმული.

მოკლედ, კოლმურენობამ ცხენის ლეშით ტყაბლაძის განცხადების დადებურებად ჩათვალა და გამყიდველს უფლი ჩაუთვალა. დრო გვიდა. შალვა ზარნაძე ნახშირელეში მოხვდა. თავისი ცხენი იქნო და ახლა ის მოივდა მიქოიანის სახელობის კოლმურენობაში. ბოლოს საქმე ქუთაისის რაიონის სახალხო სასამართლოში ამოყო თავი. იქ, როგორც მოგვსენებთ, ყველაფერი «ძირისძირამდე» გამოიძის, მოუსმინეს მარჩეებს და მოსამართლე ერთკუდიანის მიითვინო (მოგვიტყვის ამბ. ეორეოლიანმა—სახეც არ ვიცი!) გამოცხენის განჩინება, რომელსაც არა მარტო მართლმადიდებლის, არამედ ქართულ მართლმადიდებელსა და ენის სიწმინდის თვალსაზრისითაც ზადადს ვერაინ მიუნახებს.

ჩვენ უცვლელად ვეგვდეთ განაჩენის ტექსტს, ვეგვდათ ისე, რომ სასვენი ნიშანი არ არის, სასვენ ნიშნასაც არ ვცვლით:



«შალვა აღუგანდრეს-ქე ზარნაძის აბესალომ ილიას-თე ტყაბლაძისაგან 4000 მან. გადახვეწების შესახებ.»

დაადგინა: დამაყოფილეს ძიება—დედალოს აბესალომ ილიას-თე ტყაბლაძეს დაბრუნების ნახული ცხენი ფერად ქურანა 7-წლის, საშუალო ტანის (რომელიც შალვა აღუგანდრეს-ქე ზარნაძეს «სა. კულ-ბაზა»). მოსართულ შალვა აღუგანდრეს-ქე ზარნაძეს დაბრუნების ტყაბლაძეს 4000 მან. სახ. ბაიო ამ მან. ლო 4000 მანეთი. მაგრამდე კი დაბრუნების ტყაბლაძეს ცხენის მოსაბოლო 1700 მანეთი ამოივდა საბოლოოდ ზარნაძეს ტყაბლაძისაგან ტყაბლაძეს 2250 მან. თუ კი ცხენს წაივანა ზარნაძე იმ შემთხვევაში ცხენის ტყაბლაძეს ცხენის მოსაბოლო 1700 მანეთს. გადახდეს ავრეფე აბესალომ ილიას-თე ტყაბლაძეს ნახშირელის მიქოიანის სახ. კოლმურენობის სასარგებლოდ ცხენის სხვაობა 500 მან. თუ კი ზარნაძე მოსურვებდა ფულის ტყაბლაძისაგან იმ შემთხვევაში ნახული ცხენი დარჩეს კოლმურენობას, ხოლო ცხენი ქურანა, უფრო, ნ-წლის ტყაბლაძეს 500 მან. გადახდიდან რაც ცხენისა კოლმურენობის სასარგებლოდ გადახდა უნდა განათავისუფლდეს.

მოსამართლე შიკარულიანი მღვანე: ში. პარასკევიანი.

ერთის სიტყვით, როგორც განაჩენი ვეგუნებთა. «ქურანა, იაბო, შვიდი წლისა და საშუალო ტანისა» ყოფილა, ხოლო ეს საშუალო ტანი, თურმე ამჟამად მიქოიანის სახელობის კოლმურენობაში «მოყოფება», ამასთანავე ცხენის დამკარგველ ზარნაძე—ტყაბლაძეს უხდის 4000 მანეთის ცხენის განჩინება, რომელსაც მიქოიანის მიერ მოსაბოლო 1700 მანეთსაც მიმარჩეებს. ახლა თავის მხრივ ტყაბლაძე უხდის ზარნაძეს და ამის შემდეგ მიქოიანის სახელობის კოლმურენობის სასარგებლოდ «სტეხის სხვაობის» 500 მანეთსაც ჩამოაქვს. შენდევ რომელიც «შემთხვევაში» «ნახული ცხენი» რჩება კოლმურენობაში.

მას, ხოლო შვიდი წლის ქურანა, ამასობაში უკვე ხუთი წლისა ხდება და «ბაწარის მამოყენელ» ტყაბლაძეს რჩება, ხოლო ყველა ამის შენდევ, იგი კოლმურენობისათვის მოსაქცი 500 მანეთისაგანაც თავისუფლდება.

ხომ ხედავთ რა სინარტევე, რა დალაგებული აზრითა სხარტი ენაა! რა შურით შეხედავენ სხვა მოსამართლეები ეორეოლიანს, რომლის დავებიც ცხენის «ქურანა» სოფელ ლმა სიბრძნეა, რომელსაც ჩვეულებრივი ეთნოგელო თასა და ბოლოს ვერ გაუგებს!

მაგრამ ზემოთა იქით იყოს, ერთი პატარა შენიშვნა გვინდა ვეადროთ ამ. მოსამართლეს მინც რა გამოიარეც ბოლოს? აღმოჩნდა თუ არა დამნაშავე, მიიღო თუ არა მან დამსახურებული სასჯელი, დაკმაყოფილდა თუ არა მომიჯინა?

ვთქვათ, ეს ენის გასატეხი აბრკალებრა მართლაც გამოვიჩინებ, ვინა თეთრონ ეორეოლიანს აქმაყოფილეს ასეთი განაჩენი? ვთქვათ, ტყაბლაძემ მას პატიოსნება შეუტყა, ვინა მის ხელში ის «ბაწარი» არ უნდა დანახა, რომლის ბოლოზედაც ზარნაძის ცხენი იყო გამობმული? ვთქვათ, სასამართლოს მიერ საქმე მართლმდებ იყო განსჯილი. (რამც ეკვირ არც ვინც და შეეცინათ), მამ როგორ იქცა მისი დადგენილება ასეთ აბაღუბად?

ძალიან შეწმდარი იქნება ამნახავი მოსამართლე, და, ყველა მოსამართლე, საერთოდ, თუ ივიქრებს, რომ ენის ასე დამნაშავეა და განაჩენისათვის აზრის გამოცლა ნაქლები დანაშაულია იმ ბაწარის პოვნაზე, რომლის ბოლოშიც «ცხენი იყო გამობმული»!

ჩიქ - კომუნისტების ძლიერი...

მაყე, მაყე სინათლე...

ცხაკაიაში დღე ჩასულ კაცს თუ ქალაქის ცენტრის მოძებნაში გარჯა დაჭირდება, ღამით ჩასულ ადამიანზე ეს არ ითქმის. როგორც კი მიუახლოვდებით ქალაქს, შეიძლება სიბნელეში გაუჩინარებულ სახლს ან ხეს დაეჯახოთ, მაგრამ მიიღებთ თუ არა პირველ გაფრთხილებას, უნდა დაუკვირდეთ მკრთალ სინათლეებს, რომლებიც ქალაქის გარეუბნის დაწყებას გვაუწყებს. ნავთის სანათურები თანდათან გადავა ელნათურებში, ელნათურებს თანდათან მივმატებთ სინათლე და თუ შუქის თანდათანობით ბრწყინვალეობას მიჰყვებით, იქ მიგიყვანთ, სადაც ყველაფერი გაჩირაღდებულია, — ქალაქის ცენტრში.

თუმცა დღის სინათლეზე უფრო უკეთესია ქ. ცხაკაიას დათვალეობა. ახლა ქალაქის ყოველი კუთხე გაახარებს თვალს. მაგრამ რადგან ჩემი მიმოხილვის მიზანი იმის ჩვენება არ არის, რაც ჩვენი თვალუწყვედნი ქვეყნის ყოველ კუთხეში გვხვდება, თავს ნებას ვაძლევ იშვიათობას შევებო.

ზოგან წითელ ზოგან ყვითელ...

როცა მ. ხაროუშვილი ცხაკაიას ნოხების ფაბრიკის დირექტორად დანიშნეს, ალბათ, ფიქრობდა, რომ ჰრელ-ჰრელი ხალიჩა-ფარდაგის ქსოვა ჰრელი საქმე იყო, ჰრელი საქმის ავკარგიანობაში ვერავინ გაერკვეოდა და გვემის შესრულების პროცენტების დათვლას ხუთი კაცი მაინც დასჭირდებოდა.

მაგრამ ზოგან წითელის და ზოგან ყვითელის გამოქარგვა არც ისეთი იოლი საქმე გამოდგა. ფაბრიკას წუნი დაუჭირეს და დირექტორს წუწუნება არ უშველა.

ამჟამად თავგამოდებით მუშაობს თაბრიკის კოლექტივი. გვემის შესრულებისათვის ფეხზე დამდგარა. იბრძვის, მაგრამ საქმის იოლად წარმოდგენამ იქამდე მიიყვანა, რომ მაინც ჰრელ პროდუქციას უშვებს.

წყალი ჰურევა

ქალაქიდან რკინიგზის სადგურისკენ გადასასვლელ გზაზე ისეთი ტბა დგას, კაცი იფიქრებ აქაურებს თბილისისათვის მიუბაძავთ და სამგორისებური ზღვა მოუწყვიათო. მაგრამ ეს ტბა ზედ შუა გზაზეა, სადგურთან გადასასვლელ გზაზე და არც ნავეები მუშაობს, არც გემი.

— საიდან ჩადგა ეს წყალი ამ ადგილს? — ძალაუნებურად ჰკითხავთ აქაურ მოქალაქეს.

— კი არ ჩადგა, შეუღდა, ბატონო, რკინიგზის ძველ სადგურს შეუღდა წყალი. სამაგიეროდ, შეხედეთ, ჩემო ბატონო, აქვე გვერდით რა ლამაზი სადგური შენდება!

ნა. ლონია. ქარის მოშანილს ქარი ნაიღვს



— ქარს რაც ნაგავი მოაქვს, მოვკვდები, იმის ახვეტა თუ მომიწია..
ქარმა... (დაიცა, ნუ აღშფოთდები,)
ნაგვის ახვეტაც იცის, ბიძია.

ყურადღებოთ თქვენი...

უშაფათის ჩაის ფაბრიკას ვებერთელა სასადილო აქვს შეხედვისთანავე იფიქრებთ, რომ აქ სხვადასხვა დროს გამაღებული თევზების ტრიალი იქნება. მაგრამ ამ სასადილოს თვითდაზღვევის მოყვარული უცნაური გამგე ჰყოლია. ცხელი ბორშის მაგიერ ცივ კომპოსტოს ჰყიდის, ქაფქაფა ჩაის ნაცვლად — ხმელ ჩაისა და შაქარს.

— რატომ იქცევით ასე? — ჰკითხავთ სასადილოს გამგეს ამხ. ჩ. ხურციას.

— აბა რა ვქნა, ქაფქაფა ჩაი და ცხელი საჭმელი გავყიდო? როგორ გეკადრებათ, ბატონო, პირი რომ ვინმეს დაეწვას?

ასეთი „საქმიანობა“ კი ჩ. ხურციას პირს სრულიადაც არა წვავს.

ბოსჩე და მაქარი

ერთადერთი, რაც ცხაკაიას რაიკავშირს აქტივში უნდა ჩაეთვალოს, ეს ვახლავთ ალკოჰოლის წინააღმდეგ ბრძოლა. საქმე შემდეგშია: ადგილობრივი მრეწველობა, როგორც ადგილობრივი, ისე რაიონის გარეთ ამზადებს რალაცა ყურძნის ნაწარმ თხლეს. ამ თხლეს უცვლის სახელს და არქმევს მაქარს. მაქარი მიაქვს რაიკავშირს და სათანადო „ტექნოლოგიის“ შემდეგ ასაღებს 14 მ. და 60 კაპიკად. ასეთი ოპერაციის შედეგად იყიდება 6-8 გრადუსის სიმაგრის მქონე სითხე, რაც ჯიბეს უფრო ათრობს, ვიდრე ადამიანს.

აქური კავშირგაბმულობა

არ ვიცი, სჭირდება თუ არა ცხაკაიელებს რაიმე კავშირის ქონება ქალაქ გეგმეკორთან, მაგრამ იმაში კი გამოგიტყდებით, რომ ასეთი კავშირი ჩემთვის აუცილებელი აღმოჩნდა. მივმართე კავშირგაბმულობას, მაგრამ ეს „გაბმულობა“ ისე ცუდად აღმოჩნდა გაბმული, რომ ოთხი საათის ჩიკინისა და „მესმის-გესმისის“ ძახილის შემდეგ ტელეფონს თავი დავანებე და გეგმეკორის გზას გავუღდექი.

გეგმეკორში რამდენი თევზი

აქ განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ადგილობრივი დასუფთავების კანტორა, რომლის დირექტორის, მოადგილისა და სხვა დანარჩენი თანამშრომლების მოვალეობას ქარი ასრულებს. ქალაქში უზვად მიყრილ-მოყრილი ნაგავი ქარის სინდისზეა მიტოვებული და თუ ამ უკანასკნელმა ძალიან დაიგვიანა, მის დაგვიანებას ისეთი დანაგვიანება მოსდევს, რომ აბანოს დღეში ორჯერ უნდა მიაკითხო.

აბანოზე გამახსენდა. სიტყვა „აბანო“ გეგმეკორში იმდენად უცხოა, რომ აქაურ მცხოვრებს ლექსიკონში უხდება მისი ძებნა. თვითონ აბანოს საძებნელად კი ვაცილებით შორს წასვლაა საჭირო. რაც შეეხება ტანის დაბანას, ზაფხულში ეს საქმე მდინარე აბაშის საშუალებით წარმოებს, ზამთარში კი ეს მდინარეც ეჭვმდებარება ბუნების ყოველგვარ კანონს.

უბვილ ქაფივისმცაქები

გეგმეკორში დიდი ნდობა დაუმსახურებია არა მარტო ქარს, არამედ ბუნების სხვა მოვლენებსაც, თოვლისა და წვიმის სინდის-ნამუსზეა მიყრილი საქტექნოლოგიის ცხაკაიას განყოფილების გეგმეკორის საწყობში შესანახად განკუთვნილი 35 ცალი ვუთანი, 44 ცალი სიმინდის საფხენელი, 4 ცალი ხორბლის სათესი, 4 გოგირდის შესაფრქვევი მანქანა და სხვა, საკმაო რაოდენობის იარაღი...

გეგმეკორელმა ზოგიერთმა უთავბოლოებმა ჟანგსაც გაუჩინეს საჭკელი...



— აი, ნახეთ როგორ მოსჩანს ყველაფერი დღისით, მზისით, როგორია ზოგიერთი ქალი ქათმის თვალსაზრისით!

— თმებზე ცეცხლი ეკიდება, ერთი ნახეთ რა ქალია,— ამისთანა საპატარძლო არ გვინახავს რა ხანია!

— ისე ხარბად გადუგდია მხარზე სამი მურა-მელა, ადამიანს გააგიჟებს, გახდის მართლაც სურამელად!

— გასაჭირში ჩავარდნილა ჩვენი მელა, ჩვენი წუნკი,— ერთი ბენვის გულისათვის დაკრეჭია პირის ღრუც კი!

— ჩვენ რომ ტანში გაგვაყრჭოდა, საქმრო, აღბათ, რა დღეშია!.. თავი როცა გზას ვერ იკვლევს, ფეხი მუდამ მახეშია!

— იმის ნახვას როდი უნდა დიდი ძებნა, ან მიგნება,— გამფდანგველი თუ არ არის — რომ არ გახდეს,—არ იქნება!

— სულიერის სიბრალედი არ ჰქონია ერთი ციციქნა: მამლის დამამშვენებელი ბუმბულიც კი გამომწინვინა!

— რა იყო, რომ შეეხარბა მამლის ბოლო, მამლის კუდი! მნიშვნელობაც დაუკარგა— დაიმშვენა მხოლოდ ქუდი!

— სიბრალედი არ ჰქონია, და არც გრძნობის ნატამაღი,— რა მამალი დაუშროვდა, შემოხედეთ, რა მამალი!

— მისი ნების ასრულებით ვინც აქამდე არ იღლება,— გამფდანგველი თუ არ არის— რომ არ გახდეს,—არ იქნება!


— ფუქსავატი თავი მაღლა რომ ასწიოს მთავარია! ციდა ქუსლიც არა ჰყოფნის ისე ამპარტავანია!

— სარჩენად კი რა ეყოფა? რა საკენკი, რა სასმელი, აბზუებულ ტურეებზე და თვად-წამწამზე წასასმელი!

— მიხვრა-მოხვრით ისე დადის, თვადი როგორ ავაცილოთ!? გოგოთურის მსხვერპლი გახდა და ქათმების სასაცილო...

— ო, ამ ქალის სიყვარულით, ვგრძნობთ, ქათმებიც დაიკვდება... გამფდანგველი თუ არ მოსჩანს, არ გამოჩნდეს—არ იქნება!

გოგოთურა მიგრიანული



ნახ. გ. ფირცხალიაგასი

რედაქტორი კ ა რ ლ ო კ ა ლ ა ქ ი. სარედაქციო კოლეგია: გრ. აბაშიძე, აკ. ბელიაშვილი, ი. გრიშაშვილი, უჩა ჯაფარიძე, ი. ნონეშვილი, ს. ფაშალიშვილი.

Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Нианги“. რედაქციის მისამართი: რუსთაველის პროსპ. № 42. ტელ. 3-10-49.

ბელმოწ. დასაბ. 1951 წ. 27/XI. სტამბა „ზარია ვოსტოკა“, რუსთაველის პროსპ. № 42. შუკ. № 2719. გამოც. № 21. ტირ. 15.000. უფ5294

